02/10/2024

MES 9 24 0001.1/108

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
ბრძანება

№1.1/108

თბილისი

2024-2025 სასწავლო წლისათვის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 57-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის" მე-10 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, ანკეტა-კითხვარების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს - **2024 წლის 2-3 ოქტომბერი.**
2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული ანკეტა-კითხვარების დადასტურების ვადად განისაზღვროს - **20 24 წლის 3 ოქტომბერი.**
3. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მიზნებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ადგილების თავისუფალი რაოდენობა გამოითვლება ამ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და 2024 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის, ასევე 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული რანჟირების დოკუმენტით გათვალისწინებული ჩარიცხვის უფლების მქონე პირების რაოდენობების,

დაწესებულების მიერ მაგისტრატურისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარებში წარმოდგენილი მისაღები ადგილების რაოდენობების, 2024 წლის შემოდგომის სემესტრში შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მქონე პირთათვის რიგგარეშე მობილობის ფარგლებში გამოცხადებული ადგილების რაოდენობების, ასევე „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №378 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, დაწესებულებების მიერ გაზრდილი ადგილების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული რაოდენობების გათვალისწინებით.

4. **დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო სტრატეგიული განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.**
5. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის უფროსის მოადგილის - სოფიო უგრეხელიძის 2024 წლის 01 ოქტომბრის N1249080 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი